



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №96/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 28 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 5 სექტემბრის №96/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 21 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- მისცა მას შენიშვნა გალიმებისთვის, როდესაც საჩივრის ავტორმა სთხოვა დაეზუსტებინა მისთვის, თუ რატომ არ ქონდა გალიმების უფლება, მოსამართლემ ხაზგასმით განმარტა, რომ არც გაცინების და არც გალიმების უფლება არ ქონდა. სხდომის დასრულების შემდეგ, მოსამართლეს სთხოვა აეხსნა თუ რას ემსახურებოდა მის მიმართ უსამართლო მოპყრობა, რაზეც უპასუხა, რომ მის მსგავს ადამიანებს სასამართლო სხდომის დარბაზში არ უნდა უშვებდნენ. ამ ქმედებით მოსამართლე -- -- დაარღვია ეთიკის ნორმები.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- --, -- --, -- -- სარჩელით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ და მოითხოვა: -- -- -- -- მესაკუთრედ ცნობა; -- -- მესაკუთრედ ცნობა; -- -- მესაკუთრედ ცნობა.

-- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი მოპასუხეების -- -- და -- -- მიმართ ქალაქ -- -- მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; -- -- და -- -- სარჩელები დაკმაყოფილდა; -- -- (პ/წ --) სახელზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღირიცხა უძრავი ქონება მდებარე: -- --; -- -- (პ/წ --) სახელზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღირიცხა უძრავი ქონება მდებარე: -- --.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა -- -- მიერ 2015 წლის 27 მარტს.

-- -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 მარტის განჩინებით, -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

-- -- 2018 წლის 28 მარტის განჩინება გაასაჩივრა (04.05.2018) საკასაციო წესით. საქმის განხილვა მიმდინარეობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოსამართლის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.

ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად შეიცავდა მოსამართლე -- -- ქმედება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა 2018 წლის 21 მარტს გამართული სხდომის ვიდეო ჩანაწერი. ვიდეო მასალის დეტალურად გაცნობის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ სხდომაზე გამართული შეკამათების და ყვირილის

ფონზე (რომელიც მომდინარეობდა სხდომის დარბაზიდან) შეუძლებელი იყო მოქალაქე -- -- და მოსამართლე -- -- დიალოგის აღქმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა დამატებით გამოითხოვა კონკრეტული სხდომის ამსახველი აუდიო მასალაც. კონკრეტული სხდომის მიმდინარეობის დეტალური მოსმენის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ 16:25:31 წთ-ზე მოსამართლე -- -- და დარბაზში დამსწრე -- -- შორის შემდგა შემდეგი ხასიათის დიალოგი:

მოსამართლე -- --: „გარეთ შეგიძლიათ მიბრძანდეთ და იცინოთ რამდენიც გინდათ.“

დამსწრე პირი: „გალიმება არ შეიძლება?“

მოსამართლე -- --: „იღიმოდით ახლა თქვენ?! თქვენ კი არ იღიმოდით, იცინოდით. სასაცილო არაფერი ხდება აქ.“

დამსწრე პირი: „რატომ არ შეიძლება?“

მოსამართლე -- --: „როცა სასაცილო არაფერი ხდება, არ შეიძლება გალიმება, დიახ...“

სხდომის დასრულებისთანავე (16:29 წთ) სხდომის ჩაწერა შეწყდა.

კონკრეტული ფაქტით რომ ვიმსჯელოთ, მოსამართლის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ უთხრა, რომ მას სასაცილოდ საქმე არ ჰქონდა, თუმცა აუდიო ჩანაწერის მოსმენის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლე -- -- ეუბნება შემდეგ სიტყვებს „სასაცილო არაფერი ხდება აქ.“ ამდენად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში, იგი წესრიგის დაცვის მიზნით მოუწოდებდა დამსწრე პირს, რომ შეენარჩუნებინა სიმშვიდე, კონკრეტულ ფაქტზე ასევე მიუთითებდა სხდომის თავმჯდომარე მოსამართლე -- --. მოსამართლე -- -- მხრიდან არც ხმამაღალ საუბარს ჰქონია ადგილი და არც პირის შეურაცხმყოფელ გამონათქვამს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე N96/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**